ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

13 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1990 წ..
№ 174 (10 843) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ჩემპიონთა ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი მსოფლიო ჩემპიონატიდან გუშინ თბილისში ჩამოვიდა. მასთან ერთად გუშინ უნდა დაბრუნებულიყო ჩვენი მეორე მსოფლიო ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, მაგრამ იგი მოსკოვში დარჩა — თავი იჩინა აეროფლოტის ჩვეულებრივმა ნაცნობმა სენმა — რამდენიმე მგზავრის ბარგი, მათ შორის ლერი ხაბელოვისა, შერემეტიევოს აეროპორტში არ აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო შეფერხდა ლ. ხაბელოვის შინ დაბრუნება.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი ოჯახურ გარემოცვაში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიხაროდენ!

**თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა დიდ დიღომში საცხოვრებელი კორპუსის არასაცხოვრებელი ფართობი (I სართული) გამოუყო მოსახლეობას მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის.**

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი
ПРЕЗИДИУМ ТБИЛИССКОГО ГОРОДСКОГО СОВЕТА НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## დადგენილება
## ПОСТАНОВЛЕНИЕ

ოქმი №6 — 7 სექტემბერი, 1990 წელი

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტის და გაზეთ "ლელოს" წინადადების შესახებ

საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში გაზეთ "ლელოს" პუბლიკაციებში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების საკითხები. მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტი შემოვიდა წინადადებით დიდ დიღომში, პეტრიწის ქ. №15, საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართული არასაცხოვრებელი ფართობის გამაჯანსაღებელი კლუბისათვის გადაცემის თაობაზე, რომელიც უნდა აღიჭურვოს მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და უნდა იქცეს ქალაქში სამაგალითო ექსპერიმენტულ-გამაჯანსაღებელ კლუბად. ამ კლუბის გამოცდილების მაგალითზე უნდა წარიმართოს სხვა კლუბის მუშაობა.

ამასთანავე საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ პეტრიწის ქ. №15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე არსებულ არასაცხოვრებელ ფართობში განაშენიანების პროექტით გათვალისწინებული საპარიკმახეროს მოსაწყობად დღემდე არაფერი ულონია საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს პეტრიწის ქ. №15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის სხვა დანიშნულებით გამოყენება, მისი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ აუთვისებლობის გამო.
2. მიღებული იქნას მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის და გაზეთ "ლელოს" წინადადება და გამოყოფილი იქნას დიდ დიღომში პეტრიწის ქ. №15 მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულის არასაცხოვრებელი ფართი გამაჯანსაღებელი კლუბის მოსაწყობად.
3. დაევალოს მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტს და გაზეთ "ლელოს" რედაქციას /ამხ. თ. გაჩეჩილაძე/ უზრუნველყოს გამოყოფილ ფართობში ექსპერიმენტული კლუბის მოწყობა.
4. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქალაქო საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის მუდმივ კომისიას.

საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე — ნ. ლეკიშვილი

სწორია: [signature]

**მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტი და „ლელოს“ რედაქცია მადლობას მოახსენებენ თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ლეკიშვილს და ამავე პრეზიდიუმის მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგეს თ. ჩიქოვანს საკითხის ოპერატიულად და მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის.**

# სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ:

**ძიუდოში** — მამუკა კელაპტრიშვილს, ალექსანდრე ღვინიაშვილს, გიორგი ოძელაშვილს, გოგიტა მანთაშაშვილს (ოთხივე — თბილისი, „მართვე“), თამაზ ცოფურაშვილს (გლდანი, „მართვე“).

**კრივში** — თამაზ წკრიალაშვილს, ილია ფაროიანს (ორივე — თბილისი, „მართვე“).

**კლასიკურ ჭიდაობაში** — ბაკურ გოგიტიძეს (თბილისი, „შევარდენი“).

# „რა ღირს“ საბჭოთა სპორტი?

**საკავშირო** სპორტსაკომის წლიური ბიუჯეტი 200 მილიონი მანეთია. ამ თანხის ძირითად ნაწილს შეადგენს დოტაციები, რომლებიც გადაირიცხება სპორტლოტოს გათამაშების ამონაგებიდან. ამ სახსრებით სპორტსაკომი ინახავს ფიზკულტურის ინსტიტუტებს, სპორტულ ბაზებს, აწყობს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებს, საწვრთნელ შეკრებებს. 5 მილიონამდე მანეთი ხმარდება სპორტსმენებისა და მწვრთნელების პრემირებას, აგრეთვე, საკავშირო ნაკრებთა მწვრთნელებისა და გუნდების წევრთა ანაზღაურებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკავშირო სპორტსაკომს კაპიკიც არ ეძლევა, პირიქით — კომერციული შეჯიბრებებიდან შემოსული ვალუტის 20 პროცენტი და 80 მილიონი მანეთი სპორტლოტოს შემოსავლიდან გადაირიცხება სახელმწიფო ფონდში.

ეს მონაცემები ჟურნალისტებს გააცნო საკავშირო სპორტსაკომის თავმჯდომარემ ნიკოლაი რუსაკმა. მან ისაუბრა აგრეთვე სპორტსაკომის სავალუტო შემოსავალზეც, კერძოდ, ტელეკომპანია ტი-ბი-ეს-ისა და საკავშირო სპორტსაკომის გრძელვადიან გარიგებაზე, რომელიც საბჭოთა მხარეს 7 500 000 დოლარს მოუტანს. სხვათა შორის, აუწყა რა ეს ფაქტი ჟურნალისტებს, ნ. რუსაკმა თხოვნით მიმართა მათ — ამ ინფორმაციას ნუ გამოაქვეყნებთ, რადგან ვშიშობ, რომ სპორტსაკომის საბჭოთა პარტნიორები, გაიგებენ რა ამ გარიგებისა და თანხის შესახებ, ყველანაირი მომსახურებისთვის ვალუტას მოითხოვენო.

როგორც ცნობილია, აეროფლოტმა, მაგალითად, სიეტლის კეთილი ნების თამაშების „საჰაერო მომსახურებისთვის“ სპორტსაკომს 1 500 000 დოლარი მოსთხოვა და მიიღო კიდეც.

**ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „კომერსანტში“.**

# სპორტის შვიდი ბედნიერი სახეობა

**წლების** განმავლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს წამყვანი პოზიციები ეკავათ საერთაშორისო სარბიელზე. ამიერიდან, ამ ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, შეწყდა სპორტის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, გდრ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამორჩევით დააფინანსოს სპორტის სხვადასხვა სახეობები. მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა, კრივი, აფროსნობა — აი სპორტის ის შვიდი ოლიმპიური სახეობა, რომლისთვისაც ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოყო 1,14 მილიონი დოლარი.

„ამ თანხით, ჯერჯერობით, მხოლოდ ამ ოლიმპიური სახეობების შემდგომი განვითარების საშუალება გვაქვს“ — განაცხადა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა იოაჰიმ ვაისკოპფმა.

ეს თანხა, რა თქმა უნდა, ვერ დაეხმარება გდრ-ის ბრწყინვალედ აწყობილ სპორტულ სისტემას და მოსალოდნელია ამ ქვეყნის სპორტსმენთა შედეგების საგრძნობი დაქვეითება. სპონსორების ვერავითარი დახმარება ვერ აანაზღაურებს იმ ხარჯებს, რაც სჭირდება სპეციალიზებული სკოლების, მრავალრიცხოვანი მწვრთნელების, ექიმების, სამეცნიერო მუშაკების შრომის ანაზღაურებას.

# ...და მაინც „კეტბურთი“!

**კეტბურთი** — ამერიკული თამაშის ეს ქართული სახელწოდება ძალიან მოეწონა ბეისბოლის ევროპის კონფედერაციის (სებე) კონგრესის ყველა მონაწილეს. გაგახსენებთ, რომ ეს კონგრესი სულ ახლახან ჩატარდა იტალიის ქალაქ პარმაში.

— როცა განვაცხადე, რომ ჩვენმა ენათმეცნიერებმა ბეისბოლს ახალი სახელი მოუგონეს, — **გვიამბობს კონგრესის მონაწილე, სებე-ს ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის კეტბურთის ფედერაციის თავმჯდომარე რამაზ გოგლიძე,** — ამან ნამდვილი ოვაცია გამოიწვია. ბევრ ქვეყანაში სპორტის ახალდანერგილი სახეობა ახალ სახელწოდებას იღებს, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ბევრი როდია ისეთი ქვეყანა, სადაც ბეისბოლი უცხო ხილი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ მისი „ნათლობა“ დღეს საკმაოდ იშვიათი ამბავია. შთაბეჭდილება მოახდინა თვით სიტყვის ჟღერადობამაც. ალბათ სწორია, რომ ახალი სახეობა სამუდამოდ მკვიდრდება არა მარტო ქართულ სპორტში, არამედ — ქართულ ლექსიკონშიც.

**● საქართველოს კეტბურთის ფედერაცია როდისღა „დამკვიდრდება“ სებე-ს შემადგენლობაში? არის თუ არა რაიმე შანსი, რომ ქართული კეტბურთის სკოლა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიაროს?**

— ჩვენ ძალიან ვცდილობთ ამას. პარმაში ბევრი წინასწარი საუბარი გვქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. წინააღმდეგი — ყოველ შემთხვევაში, კატეგორიულად — არავინ გამოსულა. მეტიც, ევროპული კონფედერაცია დაინტერესებულია ახალი წევრების მიღებით, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს ჩვენი გეგმების განხორციელების რეალური შესაძლებლობა. კონფედერაციაში ჩემი ბევრი კოლეგის აზრი დაახლოებით ასე შეიძლება გამოიხატოს: „თქვენ ჯერ დამოუკიდებლობა მოიპოვეთ და საქართველოს ფედერაციის აღიარებაც მაშინვე ავტომატურად მოხდება“.

**● პარმაში გარდა სებე-ს კონგრესისა, ევროპის ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფის ტურნირიც მოეწყო, რომელშიც პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის კეტბურთელთა ნაკრებმა. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამ შეჯიბრების შესახებ.**

— საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში ერთადერთი ქართველი შევიდა — კობა ყაველაშვილი და სწორედ ის აღიარეს ტურნირის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. საბჭოთა კეტბურთელები იტალიაში ერთადერთი სურვილით ჩავიდნენ — როგორმე შეენარჩუნებინათ ადგილი „ბ“ ჯგუფში. მაგრამ იქ საქმე ისე წავიდა, რომ აშკარა გახდა: თავისუფლად შეიძლებოდა მეტზე ფიქრიც. მართლაც, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების ქვეჯგუფის ნახევარფინალურმა შეხვედრამ, რომელშიც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქართველმა კეტბურთელმა, პრაქტიკულად გადაწყვიტა საბჭოთა

(ის. მე-4 გვ.)

## სიტყვაში არეკლილი ერის ისტორია

**„ყველაფერს აქვს საზღვარი და ქართველის ვაჟკაცობას და მხედრობას არც საზღვარი ჰქონია და არც ექნება“.**

**აკაკი წერეთელი**

# ვისთვის „ცხენი“, ვისთვის „მხედარი“



**მოგეხსენებათ,** 1990 წელი ცხენის წლად არის მიჩნეული. ამან გამახსენა ჭადრაკში ცხენისთავიანი გამოსახულების მქონე ფიგურის ქართული სახელწოდება „მხედარი“.

რუსულ, ინგლისურ, იტალიურ, სომხურ, თურქულ, სირიულ და სხვა ენებზე ცხენის გამოსახულებიან ფიგურას ჭადრაკში „ცხენი“ ეწოდება, ხოლო გერმანულ ენაზე ამ ფიგურას განსხვავებული სახელი „მხტუნავი“ ან „მხტომარე“ ჰქვია, რაც, ალბათ, ჭადრაკის დაფაზე მისი სვლის თავისებურების გამოსახატავად უნდა შერქმეოდა. საინტერესოა, რასთან არის დაკავშირებული, საიდან წარმოდგება სპორტის ამ სახეობის ქართულ ლექსიკაში დამკვიდრებული ტერმინი „მხედარი“.

კარგადაა ცნობილი, რომ ცხენის სიმბოლიკა საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობდა. ცხენი ჩვენში ოდითგანვე საბრძოლო სიმბოლოს წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ ბევრი ქართული ფეოდალური საგვარეულო ღერბის ჰერალდიკა ცხენის გამოსახულებით იყო შემკული. ქართველმა ხალხმა ცხენისადმი თაყვანისცემა იმითაც გამოავლინა, რომ მან ბაგრატიონთა სამეფო ემბლემა ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის მეომრული სახით გამოხატა, ამით ცხენის გამოსახულება ქრისტიანულ იდეოლოგიას დაუკავშირა.

ცხენს ფრიად თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქართველი კაცისთვის ცხენი მუდამ იყო ლხინისა და ჭირის ერთგული გამზიარებელი.

ცხენს ჩვენში ოდითგანვე ძირითადად საბრძოლო მოქმედებებისთვის იყენებდნენ. ცნობილი ქართველი არქეოლოგი გ. ლომთათიძე თავის შესანიშნავ ნაშრომში „წინაპართა ნაკვალევი“ მართებულად მიუთითებდა, რომ საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანაში ცხენი უკვე მტკიცედ ყოფილა დამკვიდრებული ჩვენს წინაპართა მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში. მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სამხედრო საქმეში (გ. ლომთათიძე, „წინაპართა ნაკვალევი“, თბ. 1952, გვ. 124).

საქართველოში მეცხენეობის მაღალ კულტურაზე ნათლად მეტყველებს მრავალი საგულისხმო ფაქტი. შემთხვევითი როდია, რომ ქართულ ენაში ცხენის აღმნიშვნელი ოცდაათამდე სიტყვა იხმარება. ესენია: მერანი, რაში, თეთრონი, ბედაური, ჰუნე, კვიცი, ბერკვიცი, ჰარმაგი, ტაიჭი, იაბო, გერგე, აჯილღა, ულაყი, თოხარიკი, ფაშატი, რემა, დარმაგი, ჯინიბი, ქურანი, რახსი, საღირა, ბალაყი და ა. შ. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ ქართულში გვხვდება ცხენთან დაკავშირებული ბევრი სხვა სიტყვაც. ასე მაგალითად, ცხენის საუზმეს ჰქვია ალიყო, ცხენთა შიშით ხმიანობას — ფრთხვინვა, ცხენის კისრის თმას — ფაფარი, კუდის თმას—ძუა, უძუო ცხენის კუდს — სახიმარი, ჯოგს— რემა, სადგომს—თავლა, მომვლელს—მეჯინიბე, მკურნალს — პეიტარი (ბეითალი), ჩქარა გაჭენებას — გაქუსლვა, აღუკაზმავ ცენს — უბელო, ცხენთა დასამშვიდებელ სტვენას — სულელვა, ოქროს ლაგამს — ალვირედი, ცხენის მოტრიალებას — გელვება და სხვა.

ძველად ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული საცხენოსნო სპორტის სახეობები — ჯირითი, მარულა, დოღი, ყაბახი, ჩოგანბურთი და სხვა. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში იხსენიება საცხენოსნო სარბიელი — იპოდრომი. სიტყვაკაზმულ ქართულ ლიტერატურაში მას პირველად ვხვდებით იოანე შავთელის „აბდულმესიანში“:

**„თუ ვუქო ხრამი, მე ამას რანი,**
**გალავანისა შემკულობანი,**
**კართა ხტოვანი, ერთი ხტოლანი**
**იპოდრომისა განსხმულობანი“**
**(სტროფი 89).**

იპოდრომს ლაკონიურად ასე განმარტავს ქართული სიტყვის დიდოსტატი, უბადლო ლექსიკოგრაფი სულხან საბა ორბელიანი: იპოდრომი ბერძნულია, ცხენთა სარბიელი.

მრავალრიცხოვანი ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ ძველ საქართველოში მხედრობისა და ცხენის გაწვრთნის ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ერთ დროს ქართველებმა თავიანთი საცხენოსნო ხელოვნებით ძველი რომაელებიც კი მოხიბლეს:

ცხენის წვრთნას ძველქართულად „ხედნვა“ ეწოდებოდა. ცხენის გამწვრთნელს („გამხედნავს“) — „მხედარი“, „რაინდი“ ერქვა. საბასეული განმარტებით „მხედარი“, ესაა „ცხენოსანი მებრძოლი, წვრთნილი და დიდგვარი“. სიტყვა „მხედრისაგან“ ნაწარმოებ ტერმინებს სულხან საბა ასე ხსნის: **„მხედართმთავარი** — ლაშქართა შინა შემდგომი მეფისა, რომლისა ბრძანებასა ერჩიან ყოველი მხედრობა; **მხედართმოძღუარი** — მხედრობათა მასწავლებელი, ვითარცა უხმს ბრძოლა; **მხედართა** მყუანებელი ესე არს **მხედართა მყუანებელი** ესე არს ომი ხამს და მისი არს რჩევა, ციხეთა მიდგომა და დადარნება და მისთანანი“. (სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 446). მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით „რაინდი“, ესაა „კაი მხედარი, ცხენის მწვართველი“ (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ. 1961 წ. გვ. 334).

სიტყვა „მხედარი“, როგორც ცხენოსნის, მეომრის სინონიმი, გვხვდება ბიბლიისა და „მამათა ცხოვრებანის“ ძველ ქართულ თარგმანებში.

ტერმინი „მხედარი“ საქართველოში ჭადრაკის ცხენის გამოსახულებიან ფიგურას ეწოდებოდა სპორტის ამ სახეობის ჩვენში გავრცელების დღიდან. ქართულ ჭადრაკში — წერს მკვლევარი მ. ვადბოლსკი — არსად და არც ერთ ეპოქაში არ ვხვდებით ცხენ-მხედარს (იგ. ჭადრაკის ფიგურა, მ. ჯ.), თუმცა ცხენის გამოსახულება იჭვნეულად ინახავს უძველეს ტერმინ „მხედრის“ პირვანდელ მნიშვნელობას (მ. ვადბოლსკი, ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე, თბ., 1972, გვ. 183).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჭადრაკი ფრიად პოპულარული იყო ფეოდალურ საქართველოში. ზმებით დაწერილ ერთ თავის ლექსში მეფე თეიმურაზ მეორემ პოეტური ოსტატობით გადმოგვცა ჭადრაკის ფიგურების ქართული ტერმინები, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებულია „მხედარიც“.

**მომხედარის კაცის თვალმა შემოწყალა, დამრთო ნება,**
**ეტლი მქონდა მე დღეს კარგი, აღარ მჭირდა ცეცხლის დება,**
**აპა იკივლებს აღარა, არ უარობს, არცა მწყრება,**
**არ უხილავს თვალთა ჩემთა მისებრივი ბრწყინვალება“.**

მართალია, ტერმინი მხედარი დიდი ხანია დამკვიდრდა ქართულ ჭადრაკო ლექსიკაში, მაგრამ მის ახსნას პირველად ვპოულობთ ნიკო ჩუბინაშვილისეულ ზემოთ მითითებულ ლექსიკონში, სადაც, განმარტავს რა სიტყვა „მხედრის“ ერთ-ერთ მნიშვნელობას, იგი წერს: „მხედარი“ არის ...ჭადრაკის თამაშობაში გამოჭრილი ცხენის ნაკვეთი“. (ნ. ჩუბინაშვილის დასახ. წიგნი, გვ. 308).

სიტყვა „მხედარს“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება საბრძოლო შემართების აღმნიშვნელი ხატოვანი სიტყვა „ამხედრება“. ეს გამოთქმა საკმაოდ ძირძველია. იერემია წინასწარმეტყველის ძველ ქართულ თარგმანში აღნიშნულია: „ამხედრდით ცხენოსანნი და განაჰმზადენით ჩაფხუტნი თავთა მიერ თქვენთა“ (იერემია 46, 4).

ტერმინი „ამხედრება“ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაშიც“. „ამხედრების“ სინონიმია „შეტევა“, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულია „შეტევების“ ფორმით: ფრიდონი ტარიელს უამბობს, თუ როგორ ეცადა ნესტან- დარეჯანის გამტაცებლების ცხენდაცხენ დადევნებას:

**„დავაპირე შეტევება, ვთქვი: წავიდე მათკე მე, წა —,**
**ჩემსა შავსა ხულიერსა რამცა ვითა გარდეხვეწა!“**
**(სტროფი 683)**

ნიშანდობლივია, რომ ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში გვაქვს გამოთქმა „სვლა მხედრით“ (და არა „სვლა ცხენით“). ეს ბუნებრივიცაა, მხედარი ხომ ჭადრაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.

ასეთია მოკლედ ცხენის თავის გამოსახულებიანი ჭადრაკის ფიგურის აღმნიშვნელი ქართული ტერმინის „მხედრის“ წარმომავლობა.

უდავოა, რომ ჭადრაკის ფიგურის — „მხედრის“ სახელწოდებაში ერთგვარად აირეკლა ქართველი კაცის მებრძოლი, შემმართებელი ხასიათი.

**მიხეილ ჯანბიძე,**
**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის თანამშრომელი.**

---

## ბონდო შანიძის პრიზზე



**ამას წინათ** ფოთმა ბონდო შანიძის პრიზზე მეხანძრე სპორტსმენთა ტრადიციულ ასპარეზობას უმასპინძლა. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა ფოთის ნაკრებმა (მწვრთნელი გ. ბუკია), მეორე ადგილზეა რუსთავის გუნდი, მესამეზე — თბილისელი მეხანძრეები. კონკურსგარეშე შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ხარკოვის გუნდები.

ი. კაბალიას ფოტო

---

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

## „გვინდა ნამდვილი მოედანი, მწვანე-ბალახიანი“

**თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა გვაცნობა:**

**განვიხილეთ გაზეთ „ლელოს“ 1990 წლის 8 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი. „გვინდა ნამდვილი მოედანი, მწვანე-ბალახიანი“, სადაც გამოთქმულია თემქის დასახლების X კვარტლის №82 კორპუსის მობინადრეთა სურვილი, აღნიშნული კორპუსის მიმდებარედ მარტივი ტიპის ფეხბურთის მოედნისა და ჩოგბურთის კორტის მოწყობის თაობაზე.**

**გაცნობებთ, რომ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია თემქის დასახლების მაცხოვრებელთა დიდი ხნის თხოვნა ბაზრის მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოყოფის შესახებ. ასე რომ, კრიტიკულ წერილში აღნიშნული ტერიტორია გათვალისწინებულია ბაზრის მშენებლობისათვის, ამჟამად მიმდინარეობს პროექტირება.**

**დამატებით გაცნობებთ, რომ X კვარტლის ახლოს არის სტანდარტული სტადიონი სარბენი ბილიკებით. აქვე, მე-6 სამშობიარო სახლთან კი ჩოგბურთის კორტები. მომავალში გათვალისწინებულია ჩარგლის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობა საცურაო აუზით და სხვ.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მოეწყოს სპორტული მოედნები X კვარტლის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**ბ. ოურუშიძე,**
**აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.**

---



**საიდუმლო** არ არის, რომ საქართველოში ხელმიშვებულია ცხენთა მოშენების საქმე. ახლა ამ ნაკლის ნაწილობრივ გამოსწორება ითავა მცირე საწარმომ, რომელსაც თაოსნებმა პროზაული სახელი „რაში“ უწოდეს. თბილისის ეროვნულ იპოდრომზე ამ დღეებში ორ და სამწლიანი არაბული ცხენებისთვის 1200 მეტრზე გათამაშდა სპეციალური ჯილდო, რომელიც გამარჯვებულისთვის „რაშმა“ დააწესა. პრიზი მოიგო თბილისელმა მხედარმა რომან გეგიამ.

თამაზ ქიქავას ფოტო.

---

**მკითხველი — გაზეთი**

**„ლელოს“** 9 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა საწყალოსნო სპორტკომპლექს „ვერეს“ დირექტორის ვ. გოიაშვილის წერილი „გადასახადი ჯანმრთელობისათვის“, საიდანაც შევიტყვეთ, რომ გაიზარდა გადასახადები სპორტულ ბაზებზე, რაც ცხადია გააძვირებს მოსახლეობის მომსახურებას. ზოგიერთი ამბობს, რომ გადასახადი შეადგენს მოგების 4,5 პროცენტს, ზოგიერთი ამტკიცებს თითქოს გადასახადი 50 პროცენტით გაძვირდა.

გთხოვთ, გვიპასუხოთ რომელია სწორი ციფრი?

**მ. კირვალიძე**
**თბილისი**

**პასუხი: არც 4,5 და არც 50 პროცენტი, ზუსტი ციფრია 45 პროცენტი. ასე რომ, ახლო მომავალში მოსალოდნელია სპორტულ ბაზებზე მომსახურების გაძვირება. საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში დაიწყო ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო აქციები.**

---

## ყველა უძლიერესი თავს მოიყრის თბილისში

18 სექტემბერს თბილისში დაიწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა მრავალდღიან ველორბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი, მათ შორის საქართველოს წარმომადგენელი სტელა პრიახინა,

მონაწილეებს გასავლელი ექნებათ 9 საკმაოდ რთულპროფილიანი ეტაპი.

18 სექტემბერი, **I ეტაპი.** პროლოგი შავნაბადას ტერიტორიაზე.

**19 სექტემბერი. II ეტაპი.** შავნაბადა — წითელი ხიდი და უკან, სულ 70 კილომეტრი.

**20 სექტემბერი. III ეტაპი.** წრიული რბოლა რუსთავთან დოსააფ-ის ავტოდრომზე, 80 კმ.

**22 სექტემბერი. IV ეტაპი.** წრიული რბოლა თბილისის ზღვის გარშემო. 3,5 წრე — 80 კმ.

**23 სექტემბერი. V ეტაპი.** ჯგუფური რბოლა თბილისის შემოვლითი გზით ზაჰესამდე და უკან.

**24 სექტემბერი. VI ეტაპი.** წრიული რბოლა შავნაბადას ტერიტორიაზე. 8 წრე, 72 კმ.

**26 სექტემბერი. VII ეტაპი.** ჯგუფური რბოლა შავნაბადა — ბოლნისი — შავნაბადა. 80 კმ.

**27 სექტემბერი. VIII ეტაპი.** ჯგუფური რბოლა. შავნაბადა — — კოჯორი. 60 კმ.

**28 სექტემბერი. IX ეტაპი.** ინდივიდუალური რბოლა დაყოფილი სტარტით. თბილისი — წყნეთი. 13 კილომეტრი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ჯგუფი

## უმაღლესი ჯგუფი

### XXIV ტური

**„ქუთაისი“ (ქუთაისი)-„სანავარდო“ (სამტრედია) 1:0 (1:0).**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი, 10 სექტემბერი.

„ქუთაისი“: ჩხეიძე, თევზაძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, შენგელია, წიკლაური (დვალიშვილი), ჯანაშია, ჯულელი, დარახელია, ფაიქიძე.

„სანავარდო“: თოდაძე, თვალაბეიშვილი, ვაშაკიძე, ჰელიძე, თამაზაშვილი, რუხაძე, ბაბუნიძე, კოტრიკაძე, დადუნაშვილი, გოგაძე, ლორთქიფანიძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სამივე — სოხუმი).

გოლი: რ. თორლაშვილი.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე)-„იმერია“ (ხაშური) 2:2 (0:1).**

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი, 10 სექტემბერი.

„ამირანი“: ბენიძე, ლურწკაია, ძალამიძე, შელია, შანავა, აფენდოპულო, ქობალია, დ. კაკუბავა, გუჩუა (მ. კაკუბავა), ჯითანავა, ურთმელიძე (ჩალიგავა).

„იმერია“: ბრიაუნისი, ჭანგურიძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, აბაზაძე, რ. ნოზაძე, მღვდელაძე, რობაქიძე (ხარებაშვილი).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ე. სილაგავა, თ. ლორთქიფანიძე (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ბ. რობაქიძე.

გოლები: მ. ქობალია — 2. ბ. აბაზაძე; მ. მღვდელაძე.

**„ლიახვი“ (ცხინვალი)-„კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:8 (1:5).**

ხაშური. „იმერიის“ სტადიონი, 9 სექტემბერი.

„ლიახვი“: ხაჩიროვი, ვ. გობოზოვი, მიხაილოვი, ბიჩენოვი, დურგლიშვილი, მარჩიევი, ძაგოევი, ი. გობოზოვი, ჭანგურიძე, ქოქოევი, ჯიოევი.

„კოლხეთი-1913“: მიქავა, ქორჩილავა, ქაჯაია (კაკაჩია), გიორგაძე, გოგატაძე, შამათავა (ინიაშვილი), თოფურია, დ. მახარაძე, ტორჩინავა (ბაჯალაძე), თვარაძე, ავრამიდისი.

მსაჯები: ე. სილაგავა, თ. ლორთქიფანიძე, მ. ჰელიძე (სამივე — თბილისი).

გოლები: დ. მახარაძე — 4, ნ. თვარაძე — 3, ზ. თოფურია, ა. ჯიოევი.

**„კოლხეთი“ (ხობი)-„ბათუმი“ (ბათუმი) 0:4 (0:1).**

გორი. ცენტრალური სტადიონი, 9 სექტემბერი.

„კოლხეთი“: ბერაძე (ბაბუაძე), ჭეჭელავა, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე (კალუეა), რუხაძე, გვასალია, თევზაძე, ჰიჰინაძე.

„ბათუმი“: მამინაშვილი, გოგიტიძე (შეყილაძე), მჭედლიშვილი, დურდიაძე, ი. მახარაძე, ზედანია, მ. მახარაძე (უჯმაჯურიძე), მაჭუტაძე, შანიძე, ტულუში, კულუმბეკოვი (კიკლიაშვილი).

მსაჯები: მ. მალალურაძე, ნ. კილაძე (ორივე — თბილისი), ა. ყიყიაშვილი (მცხეთა).

გააფრთხილეს: ზ. ბაკურაძე.

გოლები: ი. მახარაძე, მ. მახარაძე, პ. მაჭუტაძე, თ. კიკლიაშვილი.

## I ჯგუფი

**„არაგვი“ (დუშეთი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1.** მსაჯი ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი). გოლები: ფუხაშვილი, მიმინოშვილი, ლაფანაშვილი („არაგვი“), ფირანიშვილი („არმაზი“).

**„ჩიხურა“ (საჩხერე)— „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0.** მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ჯ. ასანიძე („ჩიხურა“), ა. ჯიქია („სამეგრელო“), დროის განზრახ გაყვანისათვის — ჯ. ახალაია და ჯ. ბენდელიანი (ორივე — „სამეგრელო“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:1.** მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: თედეშვილი-2 („ბახტრიონი“), თეთრაული („ალაზანი“). უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს პ. ხოხობაშვილი („ბახტრიონი“) და ზ. აბულაძე. მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისათვის —დ. თეთრაული (სამივე — „ალაზანი“).

**„სულორი“ (ვანი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:2.** მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: პაიკიძე-2, ვერულაშვილი („სულორი“), მ. წითელაშვილი, ა. ხუჯაძე („მარგვეთი“). დროის გაყვანისათვის გაფრთხილებულია მ. ლონდაძე („მარგვეთი“).

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:1.** მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია). გოლები: კომახიძე-2, გორგილაძე-2 („შუქურა“), ჩინჩალაძე („საპოვნელა“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 2:2.** მსაჯი მ. ჯულაყიძე (სამტრედია). გოლები: კვარაცხელია, აბრალავა („სქური“). წალენჯიხელმა ჭოლოხავამ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. კვეტენაძე-2 (ფიზკ. ინსტ).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 3:1.** მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ქაშაკიშვილი, სევასტოპულო-2 („მაღაროელი“), პიკირაძე (ტექ. უნივ.).

**„სიხარული-90“ (გაგრა) — „სიონი“ (ბოლნისი) 5:3.** მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი). გოლები: ხარგელია, ჭუველიკიანი, გოგიაშვილი, დგებუაძე-2 („სიხარული-90“), ჯაგოვი, ქობულაძე-2 („სიონი“).

**„იმერეთი“ (ხონი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:2.** მსაჯი შ. ბერიძე (თბილისი). გოლები: ცინარიძე, უგრეხელიძე („იმერეთი“), ტაბატაძე, გელაშვილი („ქართლი“). დროის გაყვანისათვის გაფრთხილებულია ვ. თარხნიშვილი, მსაჯთან კამათისათვის — მ. თედეევი (ორივე — „ქართლი“).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი“ | 26 | 18 | 3 | 5 | 51-25 | 57 |
| „მარგვეთი“ | 26 | 18 | 2 | 6 | 58-27 | 56 |
| „სულორი“ | 26 | 16 | 4 | 6 | 46-35 | 52 |
| „კახეთი“ | 25 | 13 | 5 | 7 | 42-26 | 44 |
| „სიხარ.-90“ | 26 | 13 | 4 | 9 | 47-32 | 43 |
| „არაგვი“ | 26 | 11 | 9 | 6 | 39-36 | 42 |
| „სიონი“ | 26 | 11 | 7 | 8 | 50-41 | 40 |
| „იმერეთი“ | 26 | 10 | 6 | 10 | 28-36 | 36 |
| „ქართლი“ | 26 | 10 | 4 | 12 | 37-34 | 34 |
| „მაღარ.“ | 26 | 10 | 4 | 12 | 40-46 | 34 |
| „შუქურა“ | 26 | 8 | 10 | 8 | 39-37 | 34 |
| „არმაზი“ | 26 | 9 | 6 | 11 | 38-46 | 33 |
| „ჩიხურა“ | 26 | 10 | 2 | 14 | 27-40 | 32 |
| „საპოვნელა“ | 26 | 9 | 5 | 12 | 32-35 | 32 |
| „სქური“ | 25 | 9 | 4 | 12 | 45-46 | 31 |
| „ბახტრიონი“ | 26 | 7 | 7 | 12 | 28-50 | 28 |
| სტუ | 26 | 8 | 1 | 17 | 33-55 | 25 |
| ფიზკ. ინსტ. | 26 | 6 | 7 | 13 | 31-45 | 25 |
| „სამეგრ.“ | 25 | 5 | 10 | 10 | 27-32 | 25 |
| „დურუჯი“ | 25 | 5 | 4 | 10 | 24-38 | 19 |

## მუქარა და სინამდვილე

დასასრულს მიუახლოვდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშება, მაგრამ ამ მეტად პოპულარული და ავტორიტეტული შეჯიბრების ფინიშზე ორგანიზატორებსა და მონაწილეებსაც მრავალი გაუთვალისწინებელი სიძნელე შეექმნათ დასაძლევი.

საქმე ისაა, რომ სამხრეთამერიკულ ფეხბურთში მაფია მძვინვარებს. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მსაჯები მინდორზე პოლიციელთა რაზმების თანხლებით გამოსულან და მაშინაც კი, ხშირად, აშკარა ხიფათის წინაშე იმყოფებოდნენ. საქმე ამჯერადაც მაფიის ნება-სურვილზე მიდგა.

სწორედ ამიტომაც სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია იძულებული იყო თავის საგანგებო სხდომაზე განეხილა ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩის საკითხი. კოლუმბიის ქალაქ მედელინში გაიმართა თასის ამ ეტაპის შეხვედრა ადგილობრივ „ატლეტიკო ნასიონალსა“ და ბრაზილიის ცნობილ „ვასკო და გამას“ შორის. აქაური საფეხბურთო წრეებისთვის ცნობილი გახდა, რომ ანონიმმა პირებმა მატჩის წინ მსაჯთა ბრიგადას კატეგორიულად მოსთხოვეს „ატლეტიკო ნასიონალის“ გამარჯვება, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრსაც და მის თანაშემწეებსაც სასიკვდილო განაჩენი ელოდათ. თვით ამ მატჩის მსვლელობის დაწვრილებითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ „ატლეტიკო ნასიონალმა“ თამაში მოიგო (2:0).

ამ მატჩში გამარჯვებული ნახევარფინალში პარაგვაის „ოლიმპიას“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის სხდომამ კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო: კოლუმბიის „ატლეტიკო ნასიონალისა“ და ბრაზილიის „ვასკო და გამას“ მეოთხედფინალური შეხვედრის შედეგი გაუქმდა, ამიტომაც პარაგვაის „ოლიმპიამ“ უნდა დაუცადოს ამ გუნდებს შორის ხელახალი შეხვედრის შედეგს და მხოლოდ ამის შემდეგ მოემზადოს ნახევარფინალისათვის. ასე რომ, ერთი ნახევარფინალური წყვილი უკვე ცნობილია: „რივერ პლეიტი“ (არგენტინა) — „ბარსელონა“ (ეკვადორი). მეორე ნახევარფინალში პარაგვაის „ოლიმპია“ შეხვდება ბრაზილიის „ვასკო და გამასა“ და კოლუმბიის „ატლეტიკო ნასიონალს“ შორის განმეორებით მატჩში გამარჯვებულს.

„ლიბერტადორესის თასში“ გამარჯვებული დეკემბერში იაპონიის დედაქალაქში საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში შეხვდება ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს იტალიის „მილანს“.

# ფეხბურთი და დოლარები

**მინდვრები**, რომლებიც ოთხ წელიწადში ერთხელ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებს მასპინძლობენ, შეგვიძლია ელდორადოს შევადაროთ. ისინი მაგნიტივით იზიდავენ მეწარმეებსა თუ სხვა პროფესიის ადამიანებს. წლეულს ეს პატივი იტალიას ერგო, რომლის თორმეტმა ქალაქმა ფართოდ გაუღო კარი სუვენირებით მოვაჭრეებს, მარკეტინგის სპეციალისტებს, სპონსორებს, ტურისტებს და ცხადია, საფეხბურთო გუნდებს.

ჩემპიონატის ორგანიზატორებისაგან, საქმიანი და მთავრობის წრეების წარმომადგენელთაგან აღებული ინტერვიუების მიხედვით, გაზეთმა „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბიუნმა“ გამოითვალა, რომ „ელდორადო-90“-მა მოიტანა დაახლოებით რვა მილიარდი დოლარი. ეს თანხა შემდეგნაირად განაწილდა: 4,4 მილიარდი — სამშენებლო კომპანიებთან დადებულ კონტრაქტებზე, 1,3 — სუვენირებით ვაჭრობაზე, 300 მილიონი — ტურიზმზე; 163 მილიონი — მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციაზე, 71 მილიონი — მატჩების ტელეტრანსლიაციაზე; 40 მილიონი — ჩემპიონატის ემბლემის სალიცენზიო უფლებების გამოყენებაზე.

ამ ჩამონათვალში მითითებული არ არის დაახლოებით 150 ქვეყნის სატელევიზიო სადგურებისათვის მიყიდული სარეკლამო დრო, ასევე, საფეხბურთო ფორუმის ოცდაოთხ მონაწილეზე დახარჯული სპონსორული თუ სხვა თანხები. ამ გზით მიღებულმა შემოსავალმა ასობით მილიონი დოლარი შეადგინა.

მსოფლიოს პირველობიდან მიღებულმა საერთო მოგებამ დაახლოებით სამჯერ გადააჭარბა იტალიური კონცერნის „ფიატის“ წლიურ შემოსავალს და ტოლი არ დაუდო კამერუნის ეროვნულ სასაქონლო შემოსავალს.

როცა ორი წლის წინათ შესარჩევი მატჩები დაიწყო, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად 113 ქვეყნის გუნდი ჩაება. ფინალმა კი მხოლოდ ერთ თვეს გასტანა, რომლის დროსაც ოცდაოთხმა ნაკრებმა 52 შეხვედრა გამართა, ფინალური მატჩი კი არამარტო ყველაზე პოპულარული სანახაობა იყო, რომელსაც მილიარდობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს, არამედ საკმაოდ შემოსავლიანიც. ამიტომაც, საკმაოდ გაიზარდა „ხელის მოთბობის“ მსურველთა რიცხვი. მათ შორის იყვნენ სტადიონების მშენებელი იტალიური კომპანიები, ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაცია „იუნისეფი“, ჩემპიონატის მონაწილეთა და სტუმართა ნაირგვარი საკვებით მომმარაგებელი ფერმერები, ჩემპიონატის სუვენირებისა და ემბლემების გამოყენებაზე პატენტების გამცემი მონტეკარლოს კომპანია „ტელემუნდი“ და წარმოიდგინეთ, მაფიაც კი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, სამშენებლო კონტრაქტების გამოძალვით იყო დაინტერესებული.

თუმცა იყო მარცხიც, ზარალიც. დაიღუპა ოცდაოთხი მუშა, ექვსასზე მეტი დაშავდა. იტალიელები შეუერიგდნენ სატრანსპორტო ხერგილებს ქუჩებში და სხვა უხერხულობებს. ზარალი ნახა ზოგიერთმა კომპანიამაც, რომლებიც უსასყიდლოდ მოემსახურნენ ჩემპიონატს. და მაინც, იღბლიანები, ალბათ, ბევრნი არიან. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ თვით მინდვრის საფარიც კი აუქციონზე გაიყიდა. მსურველებმა სოლიდურ ფასად შეიძინეს პლასტიკურ პაკეტებში შეფუთული რომის ოლიმპიური სტადიონის ბალახის საფარის ნაჭრები.

ტელევიზიისათვის მიყიდული ორმოცდათორმეტი მატჩის ტრანსლაციის გადასახადიდან 70,8 მილიონი დოლარი ფიფამ გადაერიცხა. ამ საფეხბურთო ორგანიზაციის განცხადებით, ეს თანხა, ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული კუთვნილი წილი და სარეკლამო განცხადებების შემოსავალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხელმოკლე საფეხბურთო გუნდების დასახმარებლად განაწილდება.

რაც შეეხება იტალიის ნაკრების მოთამაშეებს, ისინი გულნაკლული არ დაუტოვებიათ — თითოეულმა ორასი ათასი დოლარი მიიღო, თუმცა ჩემპიონობის შემთხვევაში ჯილდო ორჯერ მეტი იქნებოდა.

ყველაზე პირველად ჩემპიონატის ჩასატარებელ სამუშაოებში საგრძნობი წილი ჩადო იტალიის მთავრობამ, რომელიც ათი სტადიონის რეკონსტრუქციასა და ორის აშენებას აფინანსებდა. გარდა ამისა, მან თავის თავზე აიღო ინფრასტრუქტურის ისეთი სამუშაოების სუბსიდირება, როგორებიცაა რკინიგზის ახალი ხაზების, მიწისქვეშა გასასვლელების, ავტოტრანსპორტის სადგომებისა და ავტოსტრადების მშენებლობა. საბოლოოდ, საქალაქო მეურნეობის მინისტრ კარმელო კონტეს თქმით, დაიხარჯა 4,39 მილიარდი დოლარი, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე იგი 1988 წელს დაგეგმა ჩ. დე მიტას მთავრობამ.

იყო სხვა ზედმეტი ხარჯებიც. მაგალითად, 29 მაისს რომის აეროპორტ ფიუმიჩინოსა და ქალაქის ცენტრის დამაკავშირებელი სარკინიგზო განშტოების გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პლატფორმის სიგანე ხელს უშლიდა მოძრავი შემადგენლობის გადაადგილებას. გენუაში სტადიონის რეკონსტრუქცია დაგეგმილი 36 მილიონის ნაცვლად 97 მილიონი დოლარი დაჯდა. ნეაპოლის მუნიციპალიტეტის თავკაცებმა კი დაადგინეს, რომ ქალაქის მოსახლეობას 2010 წლამდე მოუწევს ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების ხარჯების დაფარვა.

როგორ მოხდა, რომ ხარჯებმა ასე გადააჭარბეს საპროექტო მონაცემებით წინასწარ დაანგარიშებულს? ამისი გაგება სურს ჯანი რივერასაც. 1970 წლის მსოფლიო პირველობაში მონაწილე იტალიის ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი ქვეყნის პარლამენტის წევრმა, სთხოვა მთავრობას, გამოიკვლიოს ამგვარი დამაფიქრებელი და საშიში გადახარჯვების მიზეზი.

ზოგიერთი ამ საქმეში ბოროტ განზრახვას ხედავს.

— ეს მაფიის ნამოქმედარია, რომელიც ყველანაირად შეეცადა ხელი მოეთბო საფეხბურთო ჩემპიონატით, — დაბეჯითებით ამტკიცებს მემარცხენე ევროპული ფედერალისტური პარტიის ფუნქციონერი სერჯიო როვაზიო.

ერთი სიტყვით, დასრულდა ფეხბურთელთა მსოფლიო ფორუმი, გამოვლინდნენ ჩემპიონი და პრიზიორები, ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილენი კი მომავალ პირველობაზე წარმატებით გამოსვლის იმედით დაბრუნდნენ შინ.

დასრულდა ფინანსური ბრძოლაც კომპანიებს შორის. ვიღაცამ მოიგო, ვიღაცამ იზარალა — ასეთია მილიონობით დოლარის მოსაპოვებლად გამართული ფინანსური ჭიდილის წესი.

**მოამზადა ბელა ჯიღაურმა**



### აველანჟი დახმარებას ჰპირდება

**პოლონური** ფეხბურთი, რომელიც 70-იან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში დიდ აღმავლობას განიცდიდა, ახლა, სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

ამას წინათ პოლონეთში იმოგზაურა ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა. იგი ადგილობრივ ფედერაციას დახმარებას დაჰპირდა: ფიფა პოლონეთში სპეციალურ კურსებს მოაწყობს მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და არბიტრების მოსამზადებლად.

### 15 ფედერაციის დისკვალიფიკაცია

**ფინანსური** დავალიანების გამო ფიფა-მ დისკვალიფიკაცია მისცა 15 ქვეყნის ფედერაციას. ეს ქვეყნებია: ანტიგუა, კოტ-დ'ივუარი, გამბია, გრენადა, ეკვატორული გვინეა, ჰაიტი, კამბოჯა, კენია, მალავი, მალი, ფილიპინები. დასავლეთ სამოა, სიერა-ლეონე, ჩადი და ვიეტნამი.

როგორც ცნობაშია ნათქვამი, სანამ დისკვალიფიკაცია ძალაშია, ფიფა-ს წევრებს ეკრძალებათ ამ ქვეყნების ეროვნულ ფედერაციებთან ურთიერთობა.

### ბებეტო დარჩა „ვასკო და გამაში“

**ბრაზილიის** ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ბებეტო მრავალი წინადადების მიუხედავად, მაინც სამშობლოში დარჩენას ამჯობინებს. ახლა მან კიდევ ერთი წლით გააგრძელა ხელშეკრულება „ვასკო და გამასთან“.

### ბარეზი — „რეალში“

**„მილანისა“** და იტალიის ნაკრების ცნობილი ცენტრალური მცველი ფრანკო ბარეზი მალე მადრიდის „რეალის“ მოთამაშე გახდება.

კონტრაქტის ვადა 5 წელია. როგორც ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“ იუწყება, მადრიდის „რეალს“ ეს გარიგება 17 მილიონი მარკა დაუჯდა.

### „ფეხბურთის მეფის“ საიუბილეოდ

**31 ოქტომბერს** რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება მატჩი მსოფლიო ვარსკვლავების ნაკრებსა და ბრაზილიის ნაკრებს შორის, რომელიც პელეს 50 წლისთავს ეძღვნება.

მსოფლიო ვარსკვლავების გუნდის მწვრთნელია ფრანც ბეკენბაუერი.

### 75 ათასი აბონემენტი

**არავინ** იცის, როგორ ითამაშებს იტალიის 1990-91 წლების ჩემპიონატში „მილანი“, მაგრამ ერთი რეკორდი მან უკვე დაამყარა: „მილანმა“ უკვე გაასაღა 75 ათასი აბონემენტი მეაცას სახელობის სტადიონზე.

# ...და მაინც „კეტბურთი"!

(დასასრული)

ნაკრების „ა" ჯგუფში გასვლის საკითხი.

ტურნირის დასაწყისში მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფად დაყვეს. პირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მეტოქეები შვეიცარიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები იყვნენ. სასტარტო მატჩი, შვეიცარიასთან, საბჭოთა გუნდმა მოიგო გამანადგურებელი ანგარიშით — 9:1. შემდეგ წარმატებებმა კიდევ უფრო იმატა. პოლონელები საბჭოთა კეტბურთელებმა დაამარცხეს ანგარიშით 29:3. გუნდმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. მასზე უკვე დაიწყეს ლაპარაკი. პარმაში ჩასვლამდე საბჭოთა გუნდი, თუ ამერიკელებს არ ჩავთვლით, მინდორზე თითქმის არავის უნახავს. მაგრამ ეს, ცხადია, არ ეხებათ ჩეხებს — ჩვენს მასწავლებლებს კეტბურთში. ის გარემოება, რომ სწორედ ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა პირველებმა გაუწოდეს დახმარების ხელი საბჭოთა კეტბურთელებს, როცა აქ ეს სახეობა ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებდა, ბუნებრივია, ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა მოთამაშეებზე. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ „მოწაფეები" შეძლებდნენ „მასწავლებლების", გამოცდილი და სახელოვანი სპორტსმენების დამარცხებას. სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მატჩში მტყუარცხნელი იყო კობა ყაველაშვილი და მას თამაში, როგორც იტყვიან, „გამოუვიდა". საბჭოთა გუნდმა ტურნირში გამარჯვების რეალური პრეტენდენტები დაამარცხა ანგარიშით 16:6. შემდეგ იყო ორი მოგება — ნახევარფინალი იუგოსლავიასთან (15:3) და ფინალი გფრ-თან (12:2).

● **საბოლოო შედეგი?**

— საბოლოო შედეგი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც რომში ჩატარდება 1991 წლის აგვისტოში, საბჭოთა კავშირის გუნდი „ა" ჯგუფში იასპარეზებს. ნაკრებში მოხვედრის შანსი, როგორც ჩანს, რამდენიმე ქართველ კეტბურთელს ექნება. მაგრამ, თუ უკვე უახლოეს მომავალში სათამაშო მინდვრების პრობლემა არ გადაწყდა, კეტბურთის ყოველგვარ „ქართულ სკოლაზე" ლაპარაკი შეუძლებელი იქნება. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მარტო პარმაში, იტალიის ერთ პატარა ქალაქში, კეტბურთის ექვსი სპეციალური სტადიონია.

— **მაგრამ ის ხომ პარმაა...**

ესაუბრა
**პეპი ბოჟორიშვილი.**

# ფინალმა დაგვაიმედა

**„დინამო" (თბილისი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 12:11 (3:3, 2:1, 5:3, 2:4).**

**თბილისი. „ვერეს" საწყალოსნო სპორტული კომპლექსი. 11 სექტემბერი.**

**„დინამო": კერესელიძე, გიორგაძე, ჩომახიძე, გოგიშვილი, ბითაძე, კუტივაძე, ხარებოვი, დავითიანი, კანდელაკი, მაჭავარიანი, რამიშვილი, ასათიანი.**

**უნივერსიტეტი: შარაფიევი, ხუსლოვი, ლისიცინი, შეტუნოვი, შელუდკო, მალიკინი, ვორონინი, იანკოვი, ზაიცევი, ნაუმოვი, ყურბანოვი, ეფიმოვი, შოლოხოვი.**

**მსაჯები: ვ. სავჩენკო (მინსკი), ვ. კოსოვი (ლენინგრადი).**



თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა დღევანდელი თაობის უმთავრესი ნაკლი, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გივი ჩიქვანაიამ აღნიშნა, არასტაბილურობაა, მაგრამ — დაუმატა მანვე — გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია, რამდენიმე ახალბედა სპორტსმენი დაემატა ძველ შემადგენლობას და, ვიმედოვნებ, ყველაფერი მალე მოგვარდება.

გუნდის მწვრთნელის ეს მოსაზრება არაერთხელ გაგვახსენდა თბილისის ტურის მატჩების ხილვისას. არასტაბილურობის „საუცხოო" ნიმუშია ჩვენი ბიჭების მიერ ფრედ დამთავრებული შეხვედრა ხარკოვის „ლოკომოტივთან" (როცა მატჩის ბოლომდე ანგარიში დინამოელებს მიჰყავდათ), დასანანი მარცხი კიეველ თანაკლუბელებთან, და ბოლოს, რასაც ბევრი არ ელოდა, ბრწყინვალე გამარჯვება მოსკოვის უნივერსიტეტის ძლიერ გუნდთან. დიახ, მოსკოველებს ოთხი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული საკმაოდ დამაჯერებელი უპირატესობით და ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი საქართველოს პირველ გუნდთან მათ წარმატებაში.

შეხვედრა თბილისელთა იერიშებით დაიწყო და უკვე პირველსავე წუთებზე ისინი დაწინაურდნენ, მაგრამ მოსკოველმა სტუდენტებმაც არაერთი სახიფათო იერიში განახორციელეს და პირველ პერიოდში უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია.

მეორე პერიოდში ბითაძისა და დავითიანის საუცხოო თამაშის წყალობით, ჩვენები ერთი ბურთით დაწინაურდნენ, აი, მესამე პერიოდში კი, როცა თბილისელებმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლეს სტუმართა საუკეთესო წყალბურთელების — ეფიმოვის, ნაუმოვის და, რაც მთავარია, ვორონინისა და ლისიცინის ნეიტრალიზება, სხვაობა ანგარიშში სამ ბურთამდე გაზარდეს. ტურის ლიდერთან 3-ბურთიანი უპირატესობა — ეს უ[illegible] ბევრს ნიშნავდა, საჭირო გახ[illegible] ამ სხვაობის შენარჩუნება. ბოლ[illegible] პერიოდში სწორედ ეს საზრ[illegible] ჰქონდათ ჩვენს სპორტსმენებს, [illegible]ომაც ისინი პრესინგზე გადავ[illegible] კონტრშეტევებზე ააგეს თა[illegible] მაგრამ ამ ტაქტიკურმა ხერხ[illegible] გაამართლა — ლისიცინმა, ვო[illegible]ინმა და ეფიმოვმა ზედიზედ ს[illegible] ზუსტი ტყორცნით გაათანაბრეს ა[illegible]ში (10:10). საბედნიეროდ, ბ[illegible] არ დაბნეულან, ცენტრის ნაც[illegible] ფლანგებიდან შეუტიეს და [illegible]შვილმა და დავითიანმა ორი ლამაზი გოლიც გაიტანეს ხეტოქის კარში, მეტოქისა, რომელმაც, თა[illegible] მრივ. არაერთხელ მოსინჯა [illegible]კარე კერესელიძის საიმედოობა, [illegible]გრამ ერთი ბურთის გატანის მეტი [illegible]ღარ შეძლო. 12:11 — ასეთი ანგ[illegible]შით გაიმარჯვა „დინამომ" ამ მარ[illegible]ლაც საინტერესო და უშელავათო ბრძოლაში.

საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების პირველ ტურში „დინამომ" 7 ქულა მოიგროვა და მეორე ადგილზეა, მაგრამ თბილისელებს კიდევ უფრო ძნელი ბრძოლები ელით წინ ჩემპიონატის II ტურში, რომელიც სექტემბრის ბოლოს დაიწყება ლვოვში.

გულდასაწყვეტია, რომ ყველა მატჩის მსვლელობისას ტრიბუნები ცარიელი იყო და თითო-ოროლა მაყურებელი თუ ადევნებდა თვალს შეხვედრებს (უმთავრესად სპეციალისტები, სპორტსმენების ახლობლები და ნათესავები). მაყურებელთა სიმცირე იმის ბრალიცაა, რომ თბილისში ვერ ნახავდით აფიშას, რომლის საშუალებითაც შეიტყობდით, რომ ქალაქში უძლიერესი გუნდები ასპარეზობდნენ. ეს შეჯიბრების ორგანიზატორებს დროულად უნდა გაეთვალისწინებინათ.

არც „დაბრმავებული" ტაბლოს ცქერა იყო მაინც და მაინც სასიამოვნო — დიახ ტურნირის დღეებში ტაბლო არ მუშაობდა, ამ საკითხის გადაჭრაში კი კომპლექსის დირექციის დახმარება უნდა. მსაჯიინფორმატორი სიტყვიერად აუწყებდა წყალბურთელებს და მსაჯებს ბურთის ფლობისათვის განკუთვნილ და გაძევებული მოთამაშის სარბიელზე დასაბრუნებელ დროს, რაც გაუგებრობას იწვევდა.

# კიდევ ერთხელ კონტინენტის ჩემპიონატზე

**როგორც** ცნობილია, ევროპის მძლეოსანთა მეთხუთმეტე ჩემპიონატი (სპლიტი, 27 აგვისტო — 1 სექტემბერი) გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა დიდი გამარჯვებით აღინიშნა. ცნობილია ისიც, რომ ევროპული მძლეოსნობის ამასწინანდელ ლიდერს, საბჭოთა კავშირს ოქროს მედლების რაოდენობით დიდმა ბრიტანეთმაც გაუსწრო. ახლა შესაძლებლობა მოგვეცა ჩემპიონატის შედეგები ნაკრები ცხრილით შევაჯამოთ და უფრო თვალნათლივ დავინახოთ ვინ რამდენი მედალი მიიღო.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| გდრ | 12 | 12 | 10 |
| დიდი ბრიტანეთი | 9 | 5 | 4 |
| სსრ კავშირი | 6 | 9 | 7 |
| იტალია | 5 | 2 | 5 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 5 |
| გფრ | 3 | 2 | 2 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 1 | — | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | — | — |
| ფინეთი | 1 | — | — |

ორ-ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს ესპანეთმა და უნგრეთმა. შემდეგ მოდიან: შვეცია (1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო), ბულგარეთი (1 და 1), შვეიცარია (1 და 1). თითო ვერცხლის მედალი აქვთ ნიდერლანდებს, ნორვეგიასა და რუმინეთს, ორი ბრინჯაოს მედალი — პოლონეთს და ერთი —ავსტრიას.

# ყურადღება!

**საფეხბურთო „სპორტპროგნოზის" მეორე ტირაჟი გაიმართება 23 და 24 სექტემბერს**

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენი"

| წყვილის ნომერი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგნოზი | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:3 | 2:0 | 0:2 | 0:2 | 3:1 | 1:1 | 2:1 |
| შედეგი | | | | | | | | | | |
| ქულა | | | | | | | | | | |

ტირაჟის ნომერი 02 — **ა** — № 000000 ფასი 8 მან. — სულ ქულა

| წყვილის ნომერი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგნოზი | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:3 | 2:0 | 0:2 | 0:2 | 3:1 | 1:1 | 2:1 |
| შედეგი | | | | | | | | | | |
| ქულა | | | | | | | | | | |

ტირაჟის ნომერი 02 — **ბ** — № 000000 — სულ ქულა

| წყვილის ნომერი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგნოზი | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:3 | 2:0 | 0:2 | 0:2 | 3:1 | 1:1 | 2:1 |
| შედეგი | | | | | | | | | | |
| ქულა | | | | | | | | | | |

ტირაჟის ნომერი 02 — **გ** — № 000000 — სულ ქულა

# მეორე ტირაჟი

**23.IX.90**
„ქუთაისი" (ქუთაისი) — „ბათუმი" (ბათუმი)
„ცხუმი" (სოხუმი) — „იბერია" (თბილისი)
„ოდიში" (ზუგდიდი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი)
„ამირანი" (ოჩამჩირე) — „გორდა" (რუსთავი)
„კოლხეთი" (ხობი) — „მზიური" (გალი)

**24.IX.90**
„მერცხალი" (ოზურგეთი) — „გურია" (ლანჩხუთი)
„ლიახვი" (ცხინვალი) — „დილა" (გორი)
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური)
„სამგურალი" (წყალტუბო) — „სანავარდო" (სამტრედია)
„კახეთი" (თელავი) — „საპოვნელა" (თერჯოლა)

საფეხბურთო სპორტპროგნოზის ბილეთების ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 20 სექტემბერი.

# დაიმახსოვრეთ:

**თქვენს** მიერ ივსება „სპორტპროგნოზის" ბილეთის მხოლოდ „ა", „ბ", „გ" ნაწილების გრაფა „პროგნოზი", ხოლო გრაფები „შედეგი" და „ქულა" უნდა დარჩეს შეუვსებელი.

2. **არ** დააგვიანოთ „სპორტპროგნოზის" ბილეთის „ბ" და „გ" ნაწილების ჩაბარება, რომელთა ჩაბარების უკანასკნელი ვადა თქვენთვის ცნობილი იქნება პრესის საშუალებით.

3. **„სპორტპროგნოზის"** ბილეთის გრაფა „ტირაჟში" მკაფიოდ უნდა ჩანდეს ტირაჟის ნომერი და იგი უნდა დაიწეროს ტირაჟის ზუსტი ჩვენებით; ასე მაგალითად: 01, 03, 09, 10, 15 და ა. შ.

4. **ბილეთის** შევსება უნდა მოხდეს პასტის ავტოკალმით, დაუშვებელია მისი ფანქრით შევსება, გადასწორება... ასეთი ბილეთი ტირაჟში მონაწილეობას ვერ მიიღებს.



ძვირფასო თბილისელებო!

**ეროვნული სტადიონი მზადაა მოემსახუროს ჩვენი ქალაქის მოსახლეობას ჯანმრთელობის გაკაჟებაში.**

ყველა მსურველს ეძლევა საშუალება ჩაეწეროს **საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში** და იმეცადინოს სტადიონის არენაზე.

აღნიშნულის გარდა, სტადიონის სპორტულ დარბაზებში **იმუშავებს გამაჯანსაღებელი ჯგუფები: ჭიდაობა სამბოში და ათლეტიზმში, რომლებიც ამ ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობენ.**

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება ცურვა, ამიტომ თავის ღირსებით ყველასათვის ცნობილი **სტადიონის საცურაო აუზი ასევე მზად არის კეთილსინდისიერად მოემსახუროს როგორც ბავშვებს, ისე უფროსებს.**

მეცადინეობები ყველგან ჩატარდება კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის ეროვნული სტადიონის დირექციას.

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი №2
ოთახი №4, ტელეფონი: 95-03-76

ეროვნული სტადიონის დირექცია

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები მ. ძებამიძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:**
68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20